ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2209 ხუთშაბათი, 17 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2209

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: უკანასკნელი სტრიქონი „პეტიტი" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. სოხოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოვსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

რადგან კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—5)

ახლად გახსნილი მაღაზია
ხატებისა და ყოველივე საეკლესიო სამკაულისა
კ. დ. კოზბაძისა.
ბლომად მიღებულია ხატები, ხატების ჩარჩოები და ყოველივე ეკკლესიური სამკაული. მიიღება შეკვეთა. ქალაქ გარეთ დაკვეთილი იგზავნება დაუყოვნებლივ.

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმანოვისა. (8—6.—6).

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.
რეუტოვის ქუჩა, № 6.
(10—124—5)

ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო 15 და 16 ივლისს „ცნ. ფურცელი" ვერ გამოვიდა.

მთავრობის განცხადება

„კავკაზ"-ში დაბეჭდილია:

„1903 წელს, 13 ივლისს, მე, ტფილისის გუბერნატორმა კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ იმ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, რომელიც წეს-რიგის და მშვიდობიანობის დარღვევას შეეხება, დავადგინე: პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობისა და ქუჩაში ყრილობის მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქმნენ:

სამის თვით:

11 ივლისის დილის 10 საათიდან:

პურის მცხობნი: 1. ერმან დრეგვაძე, 2. ასლან ერაძე, 3. ევგენი კაციბაძე, 4. ნესტორ ჩინგუფაძე, 5. სოფრომ კემაკლიძე, 6. ნიკო პეტრიაშვილი, 7. ილიკო სერაძე, 8. დარისპან დაუშვილი, 9 სანდრო დავითულიანი, 10. ანტონ სხირტლაძე, 11. გერასიმ დვალიშვილი, 12. სიმონ გიორგობიანი, 13. ბაგრატ სხირტლაძე, 14. ლევან გვენცაძე, 15. თომა სოხაძე, 16. პოლიკარპ კაციტაძე, 17. ავქსენ დოლაბერიძე, 18. მელიტონ ხუციტაძე.

ყასაბი: 1 ალექსანდრე ცოვირიანოვი, 2. სოლომონ კაზაშვილი, 3. გიორგი ზეგიაშვილი.

მედროვე: 1. იაკობ ბალისტიშვილი.

სამის თვის ვადით:

12 ივლისის დილის 9 საათიდან:

მუშა: 1. ავეტიქ ავეტისიანცი, 2. სოლომონ ბულბულაშვილი, 3. სერგო ხანანოვი, 4. არშაკ გეურქოვი, 5. შამილ ტვაური.

ერთის თვით:

10 ივლისის საღამოს 9 საათიდან:

ნოქარი: 1. ალექსი მაღალაშვილი, 2. ნიკოლოზ კანდელაკი, 3. ალექსი ბერიაშვილი, 4. ბაგრატ არუთინოვი, 5. შაქრო ფუცხურიკიძე, 6 სოლომონ სელიმაშვილი.

ახალი ამბავი

◆ სამშაბათს, 15 ივლისს, მოლაპარაკება ჰქონდათ ტფილისის რესტორანებისა და სასტუმროების პატრონებს. მოლაპარაკების საგანი— ლაქიათა მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. ლაქიები კარგა ხანია თხოულობენ ამას. როგორც ვუწყით, ლაქიებს ჯამაგირი სულ არ ეძლევათ სასტუმროს ან რესტორანის პატრონებისაგან, ზოგან სადგომიც არა აქვთ. კრებამ დაადგინა, დაუნიშნოს ლაქიებს ჯამაგირი, თითოს თითო თუმანი. ამას გარდა სადგომებიც უნდა მიეცეთ ლაქიებს.

◆ „ხორცის კრიზისმა" ტფილისში ხუთი დღე გასტანა. 10—16 ივლისამდე ხორცის დუქნებში და, საზოგადოდ, მთელ ქალაქში ხორცი არ მოიპოვებოდა. გუშინ ხელახლა დაიწყეს ყასბებმა ხორცით ვაჭრობა. გუშინ წინ, 15 ივლისს, საყასბოზე ნავთლუღში კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი იყო.

◆ ორშაბათს, 14 ივლისს, ტფილისში ცხენის რკინის გზის ვაგონებს აღარ უშვებდნენ. მიზეზი რაღაც უსიამოვნება ყოფილა, რომელიც ტრამვაის გამგეთა და კონდუქტორ-კუჩერების შორის ჩამოვარდნილა. ვაგონების მიმოსვლა განახლდა 15 ივლისს. კონდუქტორების ნაცვლად ვაგონზე ჯარის კაცნი არიან და ჰყიდიან ბილეთებს, ხოლო კუჩერებად ახლები აიყვანეს.

◆ ორშაბათს, 15 ივლისს, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რესტორანის კარებთან შემდეგი მკვლელობა მოხდა: რესტორანში მთელი ღამე ქეიფობდა თურმე რამდენიმე კაცი. დილით მოქეიფეთ მოუგროვებიათ ერთმანეთში 15 მანეთი და დანახარჯის გასასტუმრებლად, როგორც ამბობენ, გადაუციათ თელავის მცხოვრების გიორგი მეჯავრიძისათვის. ამას ფული ჯიბეში ჩაუდვია, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან ხუმრობა ჰგონებიათ. წასვლის დროს ბუფეტის პატრონს ფული მოუთხოვნია და ამის გამო მეჯავრიძესთან ლაპარაკი მოსვლიათ თავ. რუსიშვილს, ორ ძმას ყარალაშვილებსა და ბ-ნ ქავთარაძეს. ბოლოს მეჯავრიძეს ფული მიუცია, მაგრამ გაქცეულა თავის ბინაზე (იქვე „ვენეციის" სასტუმროში), ჩამოუტანია რევოლვერი და დაუწყია სროლა. პირველის ტყვიით დაუჭრია ყარალაშვილი, მეორე ხელში მოჰხვედრია ქავთარაძეს. მაშინ ქავთარაძე მიჰვარდნია მეჯავრიძეს და ხანჯალი ჩაუცია მუცელში. დაჭრილნი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მეჯავრიძე უკვე გარდაცვლილა, დანარჩენების ჭრილობა საშიში არ არის თურმე.

◆ როგორც „ბაქ. იზვ." გადმოგვცემს, ბაქოს ყველა ქარხანასა და ზავოდში გამოკრული ყოფილა შემდეგი განცხადება: „ადმინისტრაცია აცხადებს: 1) ის ხელოსანნი და მუშები, რომელნიც 14 ივლისს დილის 6 საათზე სამუშაოდ გამოცხადდებიან, მოსამსახურეებადვე დარჩებიან; 2) ისინი, რომელნიც ამ დროსათვის არ გამოცხადდებიან, 5 ივლისიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან და შეუძლიანთ კუთვნილი ფული წაიღონ; 3) აღნიშნულ ვადაზე მოსულ მუშებსა და ხელოსნებს შეუძლიანთ თავიანთი საჭიროებანი გადასცენ ფირმის ადმინისტრაციას. ამ საჭიროებებს ფირმა შეძლებისა დაგვარად დააკმაყოფილებს."

◆ როგორც „ბაკ. იზვ."-ვე გადმოგვცემს, ბაქოში მუშაობის შეჩერებამ ნავთის მწარმოებელთ 12 მილიონ მანეთის ზარალი მოუტანა. ზოგიერთ ფირმაზე 14 ივლისს უკვე დაუწყიათ მუშაობა.

◆ რიონის სადგურზე ამ დღეებში შემდეგი მკვლელობა მომხდარა: ს. წერეთელს მოუკლავს ბოქაული იაშვილი და სოფლის მამასახლისი. იაშვილს დარჩენია ცოლი და ცხრა შვილი. მაზრის უფროსს თავ. დადიშქელიანს მკვლელი უკვე შეუპყრია.

◆ ამას წინად თელავის თვით-მმართველობამ განიზრახა, თელავში ქალაქის საავადმყოფოს დაარსება. საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას განუხილავს ეს შუამდგომლობა, სასურველად უცვნია სამკურნალოს დაარსება და დაუვალებია თელავის თვით-მმართველობისათვის, შეიმუშავოს სამკურნალოს მართვა-გამგეობის ინსტრუქცია.

◆ „ბაკ. იზვ."-ში ვკითხულობთ: „ამ ჟამად (15 ივლისს) ბაქოში 1000 ჯარის-კაცზე მეტია. გუშინ რკინის გზის ვაგონები უჯარის-კაცებოდ დადიოდნენ".

◆ ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში მომავალ სამოსწავლო წელს მხოლოდ 35 თავისუფალი ვაკანსია იქმნება, მთხოვნელი კი 150 კაცზე მეტია.

◆ მკითხველებს ეხსომებათ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის განზრახვა—კახეთში გიმნაზიის დაარსება. ამას წინად თელავის თავად-აზნაურთა წინამძღოლი შეეკითხა სიღნაღსა და თელავს—რით შეგიძლიანთ დაეხმაროთ განზრახულ გიმნაზიასო. სიღნაღის თვით-მმართველობას შეუთვლია, ფული არა გვაქვს და ვერაფრით ვერ დავეხმარებითო.

◆ რუსეთიდან მოტყუებით ბევრი ქალი მიჰყავთ განაპირა ადგილებში, ხშირად საზღვარ-გარედაც (მაგ. ოსმალეთში) და იქ საროსკიპო სახლებში ჰყიდიან. ამ საქმისთვის განსაკუთრებული აგენტები არიან, რომელნიც ატყუებენ ქალებს და ეუბნებიან, ადგილს გიშოვნითო. ეხლა-ხან ერთ, ასე მოტყუებულ, ქალს ტფილისის პოლიცმეისტერისთვის თხოვნა გაუგზავნია. ატყობინებს, ამა და ამ კაცმა შემაცდინა, წამომიყვანა და აქ როსკიპ ქალთა სახლში მიმყიდაო. პოლიცმეისტერმა ეს საქმე გამომძიებელს გადასცა.

პრესსა

ჟურნალ „მირ. ბოჟი"-ში საინტერესო წერილია მოთავსებული დემოკრატიულ ამერიკულ უნივერსიტეტების შესახებ. ამერიკელ ხალხში ცოცხლობს რწმენა, რომ საუკეთესო მოღვაწე ის არის, რომელიც ბავშვობიდან დამოუკიდებელ ცხოვრებას არის ჩვეული, ლუკმა პურს თავისი შრომით შოულობს, ცხოვრების სასტიკი სკოლა გამოუვლია. ამერიკელი კაცის აზრით, კარგი მეცნიერნიც მხოლოდ იმათგან გამოდიან, რომელთაც ცხოვრება პრაქტიკულად შეუსწავლიათ.

ამერიკული უნივერსიტეტები ცდილობენ,—ამბობს „მირ. ბოჟი", ყველაზე უფრო ღარიბი მოწაფეები მიიზიდონ, რომელნიც რაიმე ხელობით ცხოვრობენ. ამერიკელი ფინანსისტები და უნივერსიტეტის გამგეობანი მოწადინებულნი არიან შექმნან ახალი კლასი „მოსამსახურე სტუდენტებისა" და „დიპლომიან ხელოსნებისა". ახლო მომავალში ამ კლასმა მოწინავე ადგილი უნდა დაიჭიროს შეერთებულ შტატებში. უნივერსიტეტების დემოკრატიულ ორგანიზაციაში შემოღებულია ბიურო სტუდენტებისათვის სამუშაოს საშოვრად. სტუდენტები რესტორანებსა და პატარა პანსიონებში მოსამსახურედ შედიან, დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში, სადილობის დროს, ხელზე მოსამსახურედ არიან. ჯილდოდ ბინა და სადილი ეძლევათ. უნივერსიტეტების სასადილოებშიაც მოსამსახურედ სტუდენტები არიან.

სტუდენტების ხელობა კიდევ ფეხების მოვლაა, სახლების გათბობა. ერთ აფრიკელ მკვიდრს, ახალგაზდა ზულუსს, შეუტყვია თავის სამშობლოში, რომ ყველა ახალგაზრდა კაცს, რომელიც შრომას არ გაურბის, შეუძლია თავისი შრომით იცხოვროს და განათლება მიიღოს ამერიკაში. იმას გადაუწყვეტია ამერიკაში წასვლა და სამკურნალო მეცნიერების შესწავლა. ეს მაგალითი ამტკიცებს იმას, თუ რამდენად მიმზიდველია შორეულ, გაუნათლებელ ქვეყნების მკვიდრთათვისაც ამერიკის უნივერსიტეტები. საყურადღებოა ამ ახალგაზდა ზულუსის წერილი, რომელიც მან უნივერსიტეტის ბიუროში გაჰგზავნა: „მე ახალგაზდა აფრიკელი ვარ,—სწერდა იგი,—ტომით ზულუსი, მსურს საკუთარის შრომით შევიძინო ლუკმა პური და განათლება, იმ განზრახვით, რომ შემდეგ, შეწევნითა ღვთისათა, ჩემ სამშობლოში ჩემი უბედური ხალხის აღმზრდელად დავბრუნდე. შემიძლია ვიკისრო სხვა-და-სხვანაირი სამუშაო: ცხენების მოვლა, სახლების გათბობა, მებაღეობა, ჭურჭლის რეცხვა; შემიძლია ხელზე მოსამსახურედ დავდგე. რამდენიმე წიგნი გადავთარგმნე ინგლისურიდან ზულუსთა ენაზე, მხოლოდ ვეძებ, რომ ამგვარი სამუშაო იშოვებოდეს ამერიკაში".

სტუდენტები ამერიკაში სხვა-და-სხვა სამუშაოს კისრულობენ. მსახურებენ გაზისა და წყლის გამყვან საზოგადოებაში, სამარხ ბიუროებში; მებაღეებად და გაზეთების დამტარებლებადაც არიან. ამერიკელმა სტუდენტებმა არ იციან, რა არის ყალბი თავის მოყვარეობა უბრალო, შრომის სირცხვილი. ისინი მხოლოდ იმისთანა სამუშაოს არ ეკიდებიან, რომელიც მათ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენას დაუშლის, თავისუფალ დროზე კი მძიმე ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობენ. გასულ წელს ქ. იოლკში ცხენის რკინის გზაზე 50 სტუდენტი მსახურებდა მეეტლეებად და კონდუქტორებად. ქ. ბრუკლინის გამგეობამ წელს შემდეგი განცხადება დაბეჭდა გაზეთში. „ბრუკლინის ცხენის რკინის გზისათვის საჭიროა 800 ახალი მოსამსახურე. უპირატესობა სტუდენტებს მიეცემათ. ქალაქის გამგეობა იმედოვნებს, რომ მგზავრებს სასიამოვნოდ დაურჩებათ ეს ამბავი, რადგან დამოკიდებულება ექნებათ ზრდილობიან, განათლებულ სტუდენტებთან. ჩვენ გვსურს, უნივერსიტეტის გავლენა ცხენის რკინის გზის სფეროშიაც დავამკვიდროთ".

ამირიკულის უნივერსიტეტები ამაყობენ თავის დემოკრატიულ ორგანიზაციით, რადგან იგი მოწაფეთა აღმზრდელია, წყაროა ენერგიისა, გამრჯელობისა და დამოუკიდებელის ცხოვრებისა.

უეჭველია, სევდა მოგვეფინება გულს, როცა ჩვენ უნივერსიტეტებს ამერიკის უნივერსიტეტებს შევადარებთ. ჩვენი უნივერსიტეტები არისტოკრატიულ დაწესებულებად გვეჩვენებიან. როგორც საშუალო სკოლა, აგრეთვე უნივერსიტეტებიც ცხოვრებას მოწყვეტილნი, დაშორებულნი არიან. წიგნიდან ცხოვრების შესწავლა შეუძლებელია. კარგი წიგნი მხოლოდ ხელმძღვანელია ადამიანისათვის ცხოვრებაში, ცხოვრება კი მან თავად უნდა შეისწავლოს. ჩვენი განათლებული თაობაც, სხვათა შორის, იმიტომ არა სჩანს საზოგადო ცხოვრებაში, იმიტომ იჩაგვრის ადრე და გული უცრუვდება ყველაფერზე, რომ წიგნებით, ხშირად უშინაარსო წიგნებით, არის აღზრდილი და არა ცხოვრებით, ჩვენს პესსიმიზმსაც, სოფლის მდურვასაც, რაღაც უნიადაგობა, უშინაარსობა ემჩნევა, როგორც პესსიმიზმს იმ არსებისას, რომელსაც ჯერ ცხოვრება არ დაუწყია და უკვე შესძაგდა იგი.

თეატრი

◆ როგორც „კავკ."-ი გადმოგვცემს, ტფილისის სახაზინო თეატრი უკვე გადაუციათ საიმპერატორო თეატრის არტისტს ნ. ნ. ფიგნერისთვის. არტისტები უკვე მოუწვევია ბ-ნ ფიგნერს. აი, იმათი გვარები: ქ-ნნი რადინისა, კაზაკოვსკისა, სარაჯიშვილისა, კარამზინისა, კარტოვანი, არცებაშევისა, ტურჩანინოვისა, სვლოუ-

კი, კარენინის, დაჯროვის, სკორუპსკის, ტაგრილოვის და რაშკევიჩის. ბ-ნნი: ფიგნერი, ხლიუსტინი, კლიმენტიევი, ქასილევიჩი, სალმანი, გრინევი, ბრაგინი, გლადკოვი, როდზევსკი, სოკოლოვსკი, შიშკინინი, შმაკოვი, ბორული, ანტონოვსკი, პარუბანოვსკი, სანგურსკი, ფედოროვი, რიაბინოვი და იზმაილოვი. რეჟისორად იქმნება ბელსკი, კაპელმაისტერებად კუპერი და ჭიახნვილი. ბალეტიც იქმნება.

წერილი წყალტუბოდან

ადგილ-მამულების გამიჯვნის საქმე ჩვენში.— რა აბრკოლებს ამ საქმეს.—იმერული სხიკები და უმრავლი დავა.

ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისთვის ადგილების დროზე გამიჯვნასა და პატრონის საკუთრების გამორკვევასა და განსაზღვრას. ამას დიდი ხანია კარგად ჰგრძნობს ჩვენი ხალხი და ჟურნალ-გაზეთებშიც ბევრჯერ გამოითქვა ეს საჭიროება. მთავრობამაც, გვონებ, ყურადღება მიაქცია და ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად მოუმატა გამმიჯნველთა რიცხვს ჩვენის მხრის გუბერნიებში. ქუთაისის გუბერნიაშიც მიმდინარე ზაფხულს მრავალ ადგილს მუშაობენ მთავრობისაგან გამოგზავნილი მოხელენი და ერთგულადაც ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ ამ საჭირო საქმის წარმატებით მსვლელობას. საფიქრებელი იყო, რომ დაინტერესებული ხალხი თვითონ შეუწყობდა ხელს ამას, რათა მალე მოეჭრებოდა ბოლო იმ გამოურკვეველ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს მკვიდრთა მიწა-წყალი, მაგრამ ნაცვლად სულ სხვანაირმა უკუღმართობამ იჩინა თავი ჩვენში. ეს უკუღმართობა გახლავთ იმერული ხრიკები და უსაფუძვლო დავის ატეხა ანუ, როგორც აქ ეძახიან, „დასპორვა“.

ხშირად შეხვდებით ისეთ უსაქმო ყაბალტონებს, რომელნიც დასდევენ მუშაობის დროს გამმიჯნველ მოხელეს და სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებენ დავას გლეხების საკუთრებაზე. პატრონი კარგად ჰხედავს, რომ მოდავეს არავითარი უფლება არა აქვს, მაგრამ, რადგან ისიც აშკარაა მისთვის, რომ, უკეთუ თავიდან არ მოიშორა როგორმე მოდავე, უმისოდ თავის საკუთარ ადგილს ვერ შემოიფარგლის, ამიტომ იწყებს მოლაპარაკებას მოდავესთან და იძულებულია შეაძლიოს ხუთიოდე მანეთი, ან კიდევ მეტიც. მოდავესაც ხომ ეს უნდოდა. მოდავე თავს ანებებს პირველ მსხვერპლს, რადგანაც ფულს გარდა გამოსაზინძლებასაც მოელის. ასეთი ხრიკები და ოინები აქ ეხლა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული, რომ არც კი ეუცხოებით და სინდისს არავის უშფოთებს.

გარდა ამისა მემამულეთა შორის ზოგნი დიდი ხნის გაყრილნი არიან და ადგილ-მამულიც გაყოფილი აქვთ, მაგრამ, უკეთუ რომელიმე მათგანი გულნაკლულია, გამიჯვნის დროს დავას უცხადებს მეორეს. ვისაც შინაური პირობით აქვს ნაყიდი ადგილი, იმასაც უცხადებენ გამყიდველები დავას, რომ რამეს ჩამოარჩნენ. ბევრია ჩვენში ისეთი გლეხები, რომელთაც თავი დაუხსნიათ და ადგილებიც გამოუსყიდნიათ, მაგრამ ამათაც ეღავებიან გამიჯვნის დროს ისინი, ვისაც ერთხელ მიუღია ფასი და სხვა. ასე და ამგვარად, თითქო ყველას პირობა შეუკრავთ, რომ ხელი შეუშალონ და დააბრკოლონ ადგილების გამიჯვნის საქმე ჩვენში.

თვით გამმიჯვნელ მოხელეს ხომ უფლება არა აქვს მოდავის საჩივარი არ შეიწყნაროს და საქმის განხილვაში შევიდეს. იგი იძულებულია, თუნდაც აშკარად ჰხედავდეს, რომ მოდავეს არავითარი საფუძველი არა აქვს, მიიღოს იმისი განცხადება და სადაო ადგილის გამიჯვნას თავი დაანებოს. არ იქნებოდა, გვონებ, ურიგო, რომ თვით საზოგადოებას ჰქონდეს მინდობილი უფლება აირჩიოს რამდენიმე საქმის მცოდნე და პატიოსანი კაცი და იმათის ჩვენებით იხელმძღვანელოს მოხელემ ადგილების გამიჯვნის დროს. უამისოდ-კი, როგორც ვხედავთ, საქმე ისე ცუდად მიდის, რომ გასამიჯნავ ადგილების ერთი ნახევარი მაინც, თუ მეტი არა, ისევ გაუმიჯნავად და სადაოდ რჩება და საქმე კიდევ უფრო იწეწება. უეჭველია ეს სადაო საქმე, რასაკვირველია, სამსჯავროში უნდა გამოიკვლიონ, გაარჩიონ და გადასწყვიტონ. მაგრამ ამას ხომ ბევრი დრო და ხარჯიც უნდა, და ღმერთმა უწყის, როდის მოესწრებიან სადაო ადგილების პატრონები საქმის გათავებასა და თავიანთ საკუთრების კანონიერად ჩაბარებას. ხოლო უეჭველია ეს იმის შედეგი გახლავთ, რომ ხალხს, თავისი უვიცობისა და უმეცრების გამო არ ესმის საზოგადო ინტერესი და ქვეყნის საჭიროება. სამწუხაროდ, ჩვენში ყველანი უფრო თავისი პირადული ინტერესით, მტრობითა და შურით ხელმძღვანელობენ, და ამ ჩვენმა საზიზღარმა ნაკლულოვანებამ, როგორც ყველას მოეხსენება, ბევრი საზოგადო კეთილი საქმე წაახდინა და დაღუპა. ერთის სიტყვით, ჩვენ, იმერლები სწორედ „თავის ჭამიებს“ რომ იტყვიან, ისეთი ხალხი გახლავართ, და რაც-კი რამ ცუდი დაგვემართება, მხოლოდ ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ და არა სხვას ვისმეს ანუ რასმეს.

გ. წყალტუბელი

დაბა-სოფლები

შილდა (კახეთი). 2 ივლისს ამ სოფელში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. დილით ძმები მირინაშვილები მინდორში წასულიყვნენ ყანის სამკელად. მუშაობის დროს შელაპარაკებულან ცხენის თაობაზე, რომელიც უფროს ძმას ეყიდა. უმცროსი უწუნებდა თურმე, უჩემოდ რად იყიდე, არ ვარგაო. ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა, რომლის დროსაც უმცროს ძმას, ლევანა მირინაშვილს, ნამგალი შემოუკრავს უფროსისთვის. ბასრი ნამგალი ფეხში მოჰხვედრია და მთელი კუნთი სულ შეუჭრია და თქრიალით წამოსულა სისხლი. აი, ამ ჭრილობის მსხვერპლი შეიქმნა საბრალო მირინაშვილი.

კახეთის დაუძინებელმა მტერმა—სეტყვამ—არც ეს სოფელი გაუშვა უნახავი. ამ თვის პირველ რიცხვებში მოვიდა საგრძნობელი სეტყვა. საბედნიეროდ, მარტო სოფლის თავი დასეტყვა მცირე ნაწილი, მხოლოდ მომეტებული ნაწილი ჭირნახულისა უვნებლად გადარჩა. ვენახებს ჩვენკენ კარგი პირი უჩანს, თუ ბუნებამაც ხელი შეუწყო.

გან—ილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივლისი.

ოდესა. სამხრეთ რუსეთში კარგი მოსავალია, გაცილებით სჯობია უკანასკნელ ორის წლის მოსავალს.

ბელგრადი. მეფე პეტრე და ყველა მინისტრები ტოპოლაში წავიდნენ 1817 წ. მილოშისაგან მოკლულ კარა-გიორგის საფლავის სანახავად.

ათინა. საბერძნეთის ელჩი იუწყება, ხონთქარმა მეფე გიორგის ნახვა მოინდომა სტამბოლშიო. ამ საქმის თაობაზე ჯერ საბოლოოდ არა გადაუწყვეტიათ-რა.

ჟენევა. 12 ივლისს ლეოპოლდ ველფლინგმა ჯვარი დაიწერა ადამოვიჩის ქალიშვილზე.

ალტოზოლი. მთავარი ფერდინანდი თავის მამულ გემერერში მოვიდა.

რომი. ხელმწიფე-იმპერატორმა და ხელმწიფე დედოფალმა მიანდეს მინისტრ რეზიდენტს ვატიკანში გუბონსტოვს, ჩვენი სამძიმარი გადაეცით კარდინალ ორელიასაო.

ბელგრადი. მეფე მინისტრებითა და ამალით ტოპოლაში მივიდა. ხალხი ათასობით მიეგება. მეფე იმ ეკკლესიაში წავიდა, სადაც იმისი განთქმული პაპა ასვენია. პანაშვიდი გადაიხადეს და შემდეგ საუზმე გამართეს. როცა მეფე ბელგრადს წავიდა, ხალხი ყველგან გზაში დიდის აღტაცებით ეგებებოდა.

14 ივლისი.

ოდესა. „რუსის საზოგადოების“ გემებმა ყირიმისკენ მიმოსვლა შეაჩერეს, რადგან გემის ოსტატები და ცეცხლის შემკეთებლები („კაჩეგარები“) ფასის მომატებასა და სამსახურის პირობების გამოცვლას თხოულობენ. ელიან სახელმწიფო მეზღვაურებს (მატროსებს), რომ იმათის შემწეობით გემების წესიერი მიმოსვლა განაახლონ.

ვენა. გარდაცვალებულ კალაის ნაცვლად, ბურიანი დანიშნეს საიმპერიო ფინანსთა მინისტრად. ბურიანი ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩად იყო ათინაში.

პარიზი. გაზეთები და საფინანსო მიმოხილვები აღნიშნავენ, რომ რუსეთის რკინის გზებისათვის საობლიგაციო სესხზე დიდძალმა ხალხმა მოაწერა ხელიო. „კორესპონდენს პოლიტიკ“-ი სწერს: „ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ სესხზე ხელის მოწერის დროს ინგლისის პრესამ ხმა დაავდო, ვითომ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუვათო.

15 ივლისი.

გლაზგო. სენტ-ენოხის სადგურზე, რკინის გზაზე დიდი უბედურება მოხდა: 13 კაცი მოკლულია და 20 დაჭრილია.

ჰააგა. ჰოლანდიის მთავრობამ გადასწყვიტა, სერბიის ახალ მთავრობასთან ჯერ-ჯერობით ელჩს არ ვიყოლიებთო.

კობურგი. ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მოვიდა აქ.

სტამბოლი. საზღვაო მინისტრი ჰასან-ფაშა გარდაიცვალა.

სტამბოლი. დღეს კონია-ერეგლის რკინის გზის ლიანდაგის გაკეთებას შეუდგებიან.

სოფია. სტამბოლიდან ცნობა მოვიდა, სამხედრო სასამართლომ სალონიკში მეამბოხეთ სასჯელი გადაუწყვიტა. სასამართლომ ოთხ კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ორს სიკვდილამდე კატორღაში მუშაობა მიუსაჯა და ოთხს ციხეში დაპატიმრება; ერთს ამათგანს 10 წლით დაპატიმრება მიუსაჯა. ამის შემდეგ სასამართლო დაიხურა.

სტამბოლ-ედეაგაჩის რკინის გზაზე ორი დინამიტის პატრონა იპოვნეს. მატარებელი სტამბოლში დაუზიანებლივ ჩავიდა. მცოდნე ხალხი ამბობს, ეს საქმე წამქეზებელ აგენტების (პროვოკატორების) ბრალი იყოო.

ხმა დადის, სამინისტროს განზრახვა ჰქონდა საქალაქო და სასოფლო საზოგადოებრივი საბჭოები დაეთხოვნა, მაგრამ მთავარმა არ შესრულა ეს განზრახვა, რადგან, იმის აზრით, ეს უკანონო და კონსტიტუციის წინააღმდეგი საქციელი იქმნებაო. ამის გამო ხალხი ჰფიქრობს, ალბად, მთავარს გადაუწყვეტია, რომ მინისტრებს მეტი უკიდურესი საქციელი აღარა ჩაადენინოს-რა.

სოფია. კიუსტენდილის პოლიციამ ათამდე აჯანყებული კაცი დაიჭირა, ეს კაცები საზღვარზე გადასვლას აპირობდნენ.

ინგლისისა და იტალიის მთავრობამ შეატყობინეს პირველ-მინისტრს, თანახმანი ვართ ბოლგარიამ ლონდონსა და რომში სადიპლომატიო მისსიები დააწესოსო.

15 ივლისი.

პეტერბურგი. 14 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა კრასნოე სელოში სამხედრო ბანაკი დაიარა.

ნიჟნი ნოვგოროდი. იარმუკა გაიხსნა. ვაჭრები ცოტანი მოსულან.

ოდესა. მეგემეობისა და ვაჭრობის რუსის საზოგადოების სამგზავრო და საფოსტო გემებზე მეზღვაურები მუშაობენ. მეზღვაურები სევასტოპოლის ნავთ-სადგურიდან გამოჰგზავნეს. ხვალიდან ყირიმსა და კავკასიას შუა და სხვა მხარეს წესიერი მიმოსვლა იქმნება აღდგენილი.

პარიზი. პაპის გარდაცვალების გამო პარიზის ღვთის-მშობლის ტაძარში დიდებული წირვა იქმნება გადახდილი. პირველი მინისტრი კომბი ამ წირვას არ დაესწრება.

სტამბოლი. ხმა დადის, სასულიერო განათლების მინისტრი ჯელალ-ბეი საზღვაო მინისტრად ინიშნებაო.

ლონდონი. ბელფასტში მეფეს მისასალმებელი ადრესი მიართვეს. მეფემ ხალხს უპასუხა: ჩემი გულითადი სურვილი ისაა, რომ დედი ჩემის კვალს მივსდიო, იმასავით ნიადაგ ჩემის ხალხის კეთილ-დღეობისა და ირლანდიის აღყვავებისათვის ვიზრუნებ. ვეცდები აგრეთვე, რომ ყველა ხალხთა შორის მშვიდობიანობა დავიცვაო.

სტამბოლი. ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, ვითომ სახელმწიფოები ახალ, უფრო ვრცელ, რეფორმების პროგრამას ამზადებენო, მაგრამ ეს ხმა ტყუილია.

ხილმი-ფაშა უსკიუბის ვილაეტში მომხდარ უწესოების გამო გამოძიებას განაგრძობს; გამოძიების დროს ხილმი-ფაშა რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულების გამოძიებით ხელმძღვანელობს.

რომი. ხმა დადის, წმინდა კოლეგიამ ცირკულიარული ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოებს და ისევე, როგორც პიუს მეცხრეს გარდაცვალების შემდეგ, პროტესტი გამოუცხადა ეხლანდელ საქმეთა ვითარების წინააღმდეგაო.

პეტერბურგი. 7 საათსა და 15 წამზე ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფლები, დიდი მთავრები და დიდის მთავრის მეუღლენი და ასულნი საროვის უდაბნოში წავიდნენ.

16 ივლისი

სტამბოლი. რუსეთის და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებმა ერთნაირის ნოტით მიჰმართეს პორტას და აღნიშნეს ის გარემოება რომ რაც დრო გადის, უფრო-და-უფრო მეტი ბოლგარელები მოდიან ბოლგარიაში კირკილისსეს კაზიდან; ელჩები ურჩევენ პორტას, რამე ღონისძიება გამონახოს ამ გადასახლების მოსასპობად.

—ტყუილია, ვითომც ამატოვის ტბაზე დიდი რაზმი გაეჟლიტოთ. ტბის ახლო მხოლოდ 30 მეამბოხე იყო, ამათში 3 მოჰკლეს, 3 დაატყვევეს, დანარჩენები-კი, როგორც ამბობენ, გაიქცნენ.

პარიზი. „ჰავასის სააგენტო“ შემდეგს აცხადებს. „ზოგიერთ გაზეთებში დაიბეჭდა ტყუილი ცნობები რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობის შესახებ; იმასაც-კი ამბობდნენ, ვითომც ერთი იმპერატორთან დაახლოვებული პრინცი პარიზში მოსულიყოს, რომ საფრანგეთს რუსეთთან შუამდგომლობა სთხოვოს. ჩვენ მოგვანდეს გამოვაცხადოთ, რომ ეს ხმები სრულიად უსაფუძვლოა“.

ტოკიო. ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილი შემაძრწუნებელი ცნობები, ვითომც იაპონია ომისთვის ემზადებოდეს, სრულიად უსაფუძვლოა.

ბელგრადი. რადიკალური გაზეთი „ნაროდ“-ი აგონებს მკითხველებს, რომ სერბიის ყოველი უბედურების მიზეზი ავსტრიის ინტრიგაა, რომელმაც 1858 წელში მთავარის სლექსანდრე კარაგეორგიევიჩის ჩამოგდება გამოიწვია და ეხლაც ობრენოვიჩების საგვარეულო მოსპო თითქოს იმ სიმპატიის ჯიბრით, რომელსაც ავსტრია გრძნობდა ამ საგვარეულოსადმიო.

პეტერმარიცბურგი. ზულუსთა ადგილებიდან შემაძრწუნებელი ამბები მოდის; როგორც ამბობენ, იქ ამბოხება დაიწყო. სახლობა ზღვის პირას გაჰხიზნეს.

ბერლინი. გერმანიის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა არავითარი ძალა არ დაატანოს არც გერმანიისა და არც სხვა რომელსამე კარდინალს, აგრეთვე არც მხარი მისცეს და არც ხელი შეუშალოს კანდიდატს, ვინც უნდა იყოს იგი.

ბაქო. ბალახანს იწვის. აქამომდე დაიწვა ორმოცდა ათამდე ვიშკა და ნავთიანი რეზერვუარი. ცეცხლი სხვა-და-სხვა ნაწილებშია. დაიწვა ვიშკები ნობელისა, თუმანოვისა, მიკირტუმოვისა და კასპიის ამხანაგობისა. წყლისა და ცეცხლის მქრობელ მოწყობილებათა უქონლობის გამო ცეცხლთან ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია.

ალექსანდროვსკი. მდინარე მურმანზედ გამართულ გადამრჩენელ სადგურების კრეისერებმა მოქმედება დაიწყეს. ამ დღეებში 4 მწარმოებელი გადაარჩინეს.

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლ. ხობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—151)

ცინკოგრაფია
წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87ა.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

„კლო-უბურულის“
მამულში, ქუთაისს მახლობლად, სოფელ დიმს იყიდება მწიფე ყურძენი. იქვე საჭიროა მუშა მევენახე და მიიღება აგრეთვე ბავშვები პრაქტიკისთვის. (2—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 16 Іюля, 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)